ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

აპრილი 2023

საქართველო

საერთაშორისო ვიზიტების დინამიკა საქართველოში (2023 წლის I კვარტალი)

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

აპრილი 2023

- 2023 წლის I კვარტალში **საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 1.1 მილიონს მიაღწია, რაც პანდემიამდელი (2019 წლის I კვარტალი) მაჩვენებლის 79.9%-ს შეადგენს.** აღსანიშნავია, რომ ტურისტულმა ვიზიტებმა (საერთაშორისო ვიზიტები ღამისთევით) შეადგინა 845,322 ვიზიტი და თითქმის მიაღწია პანდემიამდელ მაჩვენებელს (95.8%).
- 2023 წლის I კვარტალში საქართველოში **ყველაზე მეტი ვიზიტორი რუსეთიდან ჩამოვიდა**. კერძოდ, რუსეთიდან საქართველოში 256,787 ვიზიტი განხორციელდა, რაც 1.1%-ით აჭარბებს პანდემიამდელ მაჩვენებელს. რუსეთს მოსდევს თურქეთი და სომხეთი.
- მიუხედავად 2023 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტების მხოლოდ ნაწილობრივი აღდგენისა, **საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალმა მიაღწია 795.4 მილიონ აშშ დოლარს**, რაც პანდემიამდელ მაჩვენებელზე 38%-ით მეტია.
- ქვეყნების მიხედვით, **2023 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი** და მან შეადგინა 266.4 მილიონი აშშ დოლარი, რაც 29%-ით მეტია 2019 წელთან შედარებით.
- აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2023 წლის 31 მარტისთვის საქართველოში მყოფი **რუსეთის მოქალაქეების 35.5%, უკრაინის მოქალაქეების 23.7% და ბელარუსის მოქალაქეების 44%** შეფასებულია, როგორც 1 წელზე მეტი ვადით მყოფი, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველი. შესაბამისად, მათ მიერ გაწეული ხარჯები არ შედის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში.

- 2023 წლის აპრილში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2023 წლის მარტთან შედარებით 0.2%-ით შემცირდა, ხოლო 2022 წლის აპრილთან შედარებით - 5.0%-ით გაიზარდა.

საერთაშორისო ვიზიტები

- 2023 წლის I კვარტალში **საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 1.1 მილიონს მიაღწია**, **რაც 106%-ით მეტია 2022 წლის I კვარტალთან შედარებით და პანდემიამდელი მაჩვენებლის 79.9%-ს შეადგენს**. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტები (საერთაშორისო ვიზიტები ღამისთევით) თითქმის გაუტოლდა პანდემიამდელ მაჩვენებელს (4.2%-ით ნაკლები) და 845,322 ვიზიტს მიაღწია. ეს შეიძლება განპირობებული იყოს პანდემიის დასრულების შემდეგ ტურისტულ სერვისებზე გლობალური მოთხოვნის ზრდით და ტურიზმთან არადაკავშირებული ფაქტორებით (რუსების, უკრაინელებისა და ბელარუსების ფართომასშტაბიანი მიგრაციის/შემოდინების გაგრძელება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ).





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- 2023 წლის I კვარტალში საქართველოში **ყველაზე მეტი ვიზიტორი რუსეთიდან შემოვიდა (256 787 ვიზიტი),** რაც საერთაშორისო ვიზიტების საერთო რაოდენობის 24%-ს უტოლდება (2019 წელთან შედარებით 5 პპ-ით მეტი). აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით (257.7%) და გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს (1.1%). ვიზიტების რაოდენობით მეორე და მესამე ადგილზე იყვნენ მეზობელი ქვეყნები, თურქეთი (ვიზიტების საერთო რაოდენობის 20%, რაც პანდემიამდელ რაოდენობას 7.6%-ით აღემატება) და სომხეთი (ვიზიტების საერთო რაოდენობის 17%, პანდემიამდელ მაჩვენებელზე 21.5%-ით ნაკლები).

- **ბელარუსიდან** ვიზიტების რაოდენობამ 181%-ით გადააჭარბა პანდემიამდე არსებულ რაოდენობას. რასაც მოსდევს **ყაზახეთი** (85.2%), **ისრაელი** (79.2%) და **ინდოეთი** (23.4%). მეორე მხრივ, აღდგენა ყველაზე დაბალი იყო აზერბაიჯანისთვის (86.2%-ით ნაკლები 2019 წლის I კვარტალთან შედარებით), რაც პირდაპირ უკავშირდება აზერბაიჯანის მიერ სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვას.

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი

- **2023 წლის I კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობის შემოსავალმა 795.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა**, რაც 102%-ით მეტია 2022 წლის I კვარტალზე და 38%-ით აღემატება 2019 წლის I კვარტლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ აღდგენა ეტაპობრივად მიმდინარეობდა და, 2022 წლის მესამე კვარტლიდან მოყოლებული, საერთაშორისო მოგზაურობის შემოსავალი აჭარბებდა პანდემიამდელ მაჩვენებლებს. შემოსავლის ამ სწრაფ ზრდაში დიდი როლი შეასრულა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა გრძელვადიანი მოგზაურების დანახარჯების ზრდა, ვიზიტის ხანგრძლივობის გაზრდა და საერთაშორისო ტურიზმის აღდგენა.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

- 2023 წლის I კვარტალში **რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი** ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი იყო და შეადგინა 266.4 მილიონი აშშ დოლარი (მთლიანი შემოსავლის 33.5%), რაც 29%-ით მეტია 2019 წლის შემოსავალზე. რუსეთს მოსდევდა თურქეთი (7.6%-ით აღემატება პანდემიამდელ მაჩვენებელს და შეადგენს ვიზიტების საერთო რაოდენობის 12%-ს) და სომხეთი (ჩამორჩება პანდემიამდელ მაჩვენებელს 21.5%-ით და შეადგენს ვიზიტების საერთო რაოდენობის 9%-ს). 2023 წლის I კვარტალში ქვეყნებს შორის შემოსავლის **აღდგენის მაჩვენებელი** ყველაზე დაბალი იყო აზერბაიჯანისთვის (აღდგენილია პანდემიამდელი შემოსავლის 36%). ამავდროულად, რუსეთის შემდეგ შემოსავლის აღდგენის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო უკრაინისა (78%) და ისრაელისთვის (68%).

- აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2023 წლის 31 მარტისთვის **რუსეთის მოქალაქეების 35.5%, უკრაინის მოქალაქეების 23.7% და ბელარუსის მოქალაქეების 44% შეფასებულია**, როგორც 1 წელზე მეტი ვადით მყოფი ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველი და მათ მიერ გაწეული ხარჯები არ შედის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[1] 2023 წლის აპრილში, 2023 წლის მარტთან შედარებით, 0.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.5%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.5%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი კახეთში (8.5%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი შიდა ქართლში (-10.6%).
- 2023 წლის აპრილში, 2022 წლის აპრილთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.0%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 4.0%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 7.1%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო გურიაში (25.2%), ყველაზე დაბალი კი რაჭაში (-12.9%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 აპრ/ 2023 მარ	2023 აპრ/ 2022 აპრ	2023 აპრ/ 2023 მარ	2023 აპრ/ 2022 აპრ	2023 აპრ/ 2023 მარ	2023 აპრ/ 2022 აპრ
კახეთი	8.5%	1.9%	15.8%	11.8%	4.9%	-5.8%
იმერეთი	0.4%	-0.4%	0.5%	-5.3%	0.0%	4.7%
გურია	3.2%	25.2%	3.2%	9.2%	-	88.9%
ქვემო ქართლი	-	10.0%	-	10.0%	-	-
აჭარა	1.9%	5.5%	3.4%	1.8%	-10.6%	12.8%
რაჭა	0.0%	-12.9%	-	-	0.0%	-12.9%
შიდა ქართლი	-10.6%	19.2%	-	Ap	-10.6%	28.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.7%	8.8%	2.6%	16.4%	2.8%	2.4%
სამცხე-ჯავახეთი	0.4%	1.9%	6.0%	2.8%	-2.2%	1.3%
მცხეთა-მთიანეთი	-9.4%	8.0%	-17.7%	5.1%	-0.2%	12.2%
თბილისი	0.3%	4.9%	2.9%	4.8%	-31.1%	5.7%
სულ ფასების % ცვლილება	**-0.2%**	**5.0%**	**1.5%**	**4.0%**	**-20.5%**	**7.1%**

1 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის მარტში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[2] **157 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **247 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[3] საშუალო ფასმა **115 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აპრილში **373 ლარი** შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 548 ლარი შეადგინა, თბილისში - 452 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 354, ხოლო გურიაში - 328.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 აპრილი, ლარი)



2 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

3 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022	I 2023
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	646.2*	2374.5*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9	1208.5
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9	845.3
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	1244.9	393.7	748.8	1374.7	999.5	3516.6	795.4
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	114.3*	408.6*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	118.1	111.4	106.0	119.3	-247.2	-7.4	10.6*	6.9*	16.1*	-2.0*	31.5*	-

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org